ს. ს. ს. რ. სახ. კომისარიატის საბჭოს
საინფორმაციო-ანალიტიკური
კომპარტიტეტი

ს. ს. ს. რ. სახ. კომისარიატის საბჭოს
საინფორმ. ციო-ანალიტიკური
განხილულია 192 ...
კომპარტიტეტი

ს. ს. ს. რ. სახ. კომისარიატის საბჭოს
საინფორმ. ციო-ანალიტიკურ
კომპარტიტეტი

მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატთა საბჭოთა

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური ◆ თბილისის კომიტეტის
და ხრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია — თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
მთავარი კანტორა — თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58
ადმინისტრაციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელეფონი 13—80.

ხელმოწერის ფასი: მუშა-მოსაძსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 თ. ქალაქს გარეშე—1 თ. 20 კ., ხელისმოწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტექნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 ბან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხადებ. მიიღება 3 ს.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

— სპარსეთის ნავთისათვის ბრძოლა აძვთ ამერიკელ და ინგლისელ კაპიტალისტებს.

— ოსმალეთში სარდფუნოეზრივი საკითხ[illegible] ... სათვის დაბუნეს რამდენიმე გაზეთი.

— ჯერ კიდევ გამოუცხადებელია თუ [illegible] ... კის საგარეო საქმეთა მინისტრი.

— ჩინეთის პრესა კვაყოფილია საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულებით.

კვირა, 15 მარტი 1925 წ. — ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ — ფასი 5 კ. № 60 (1215)

ᲩᲕᲔᲜ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲨᲘ

ამ ჟამად თბილისში მიმდინარეობს პროფკავშირის წევრთა ხელახალი რეგისტრაცია; ახლო მომავალში მათი აღრიცხვა დაიწყება მაზრებშიც.

როგორც პროფსაბჭო განმარტავს თავის ეოთ-ერთ უკანასკნელ ცირკულიარში პროფორგანიზაციებისადმი, ამ რეგისტრაციას მიზნად აქვს დასახული კავშირის წევრთა ნამდვილი რიცხვის გამორკვევა და ლიკვიდაცია ე. წ. „მკვდარ სულების“, რომელნიც დაროვდენ კავშირებში, ან უკეთ მათ კანცელარიების სააღრიცხვო ბარათებში 1922 წელს მოხდენი ეკონ კავშირის. წევრთა გაწმენდის შემდეგ.

მიუხედავად ამისა, როგორც იგივე ცირკულიარი აღნიშნავს, „რეგისტრაციის პრაქტიკულად გამტარებელნი სცდილობდენ—ხელახალი რეგისტრაცია მთლიანად გადაეტანათ შემდეგთ. ამის გამო ხელახლად აღსარიცხავ პირებს უშვრებოდნენ მკაცრ ეამოკვლებს, როგორც „პროფესიულ, ისე პოლიტიკურ ცოდნაში“.

ჩვენ აქ არ ვვაინტერესებს ის გარემოება, რომ აღმრიცხავ კომისიებს კარგად ვერ გაუგიათ კავშირის წევრთა ეხლანდელი რეგისტრაციის დანიშნულება. ჩვენთვის გაცილებით უფრო საყურადღებოა, თუ რა გამორკვა წარმოებულ გამოცდებზე.

პირველი, რაც ხაზგასასმელია, ეს ის, რომ გამოცდამ გამოაჟკარავა პროფკავშირის წევრთა შეტად საგრძნობი რიცხვის პროფესიონალური უცოდინარობა და საერთო პოლიტიკური მოუმზადებლობა.

რა არის პროფკავშირი, რანაირია მისი წყობა, რა არის ადგილკომი, ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტი, შემფასებელი-საკონფლიქტო კომისია, რამდენ პროცენტს იხდიან პროფკავშირების სასარგებლოდ მათი წევრები, სად მიდის და როგორ ნაწილდება ეს ფული და სხვ.,—ამაზე ბევრი დაკითხული პროფკავშირის წევრი შეტად აბ ეულ პასუხს იძლეოდა, ან სულ ვერ უპასუხებდა. ერთმა ჰარმა შეკითხვაზე, თუ რა არის „ეს-ეკ“ (შემფასებელი - საკონფლიქტო კომისია) უპასუხა—ესაა კავკასიის წითელ-დროშოვანი არმიაო. ასეთი კურიოზული იყო მრავალი პასუხი. ნურადერს ვიტყვით ისეთ „მაღალ მატერიებზე“, როგორიცაა მსოფლიო პროფმოძრაობის გაერთიანება და მრავალი სხვა. ასეთ და მსგავს ხასიათის შეკითხვებზე სპასუხოდ პროფკავშირის ბევრი წევრი მხოლოდ უსიტყვო გაოცებას გამოხატავდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ასეთ უცოდინარეთა საკმაოდ დიდი პროცენტი კავშირების ასე თუ ისე ინტელიგენტ წევრებზე მოდიოდა.

მეორე ფაქტი, რომელიც გვიჩვენა „გამოცდამ“—ესაა საკავშირო მასის ძნიშვნელოვანი ნაწილის მოწყვეტილობა საკავშირო ორგანოებისა და ხელმძღვანელ მუშაკებისაგან.

ამას ადასტურებს თავის თავად ის პროფესიონალური უცოდინარობა, რომლის შესახებ ზევით ვილაპარაკეთ. თუ კავშირის წევრმა არ იცის, რა არის ადგილკომი, შემფასებელ-საკონფლიქტო კომისია და სხ., ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ორგანოები საკავშირო მასისაგან დამოუკიდებლად არსებობენ და მათ შორის არ არსებობს არამც თუ მჭიდრო, არამედ სუსტი კავშირიც.

ამასვე მოწმობს ის გარემოება, რომ კავშირის მრავალმა წევრმა არ იცის, თუ ვისგან შესდგება მათი ადგილკომი, ვინ არის მათი კავშირის მდივანი და სხ. ამგვარად, ცოცხალი კავშირი არ არის დამყარებული საკავშირო ორგანოებსა, იქ მომუშავე ამხანაგებსა და კავშირის წევრთა შორის.

ასეთ მდგომარეობას რაც შეიძლება მალე უნდა მოეღოს ბოლო.

პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა შეეცადოთ მოვსპოთ კავშირის წევრთა შორის პროფესიონალური უცოდინარობა. ამისათვის სისტემატიურად უნდა მოეწყოს საუბრები და ახსნებები, რომლებშიც უნდა შუქდებოდეს როგორც ჩვენი პროფკავშირების აგებულება, მნიშვნელობა და ამოცანები, ისე საერთაშორისო პროფმოძრაობის საკითხები.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ჩვენში შედარებით მრავალად გამოდის პროფესიონალური ლიტერატურა, ბროშიურები და ჟურნალები, აგრედვე გაზეთიც. მაგრამ ასეთების მრავალად გამოცემა არ არის საკმარისი. საჭიროა ეს ლიტერატურა ვრცელდებოდეს კავშირის წევრთა შორის და იკითხებოდეს მათ მიერ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკავშირო მასსის და საკავშირო ორგანოების ურთიერთ მჭიდრო დაახლოვებას, მთელი საკავშირო მასსის ფართედ და აქტიურად ჩაბმას პროფესიონალურ ცხოვრებასა და მუშაობაში. ამ მხრივ უნდა იქნას გადადგმული შესაფერი ნაბიჯები. უამისოდ შეუძლებელია პროფკავშირების გაძლიერება, კავშირის წევრების პროფესიონალური გათვითცნობიერება.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ არც საწევრო გადასახადის შეტანა და მოგროვება, არც ცირკულიარების წერა ოდნავადაც არ არის საკმარისი იმის სათქმელად, რომ ყველაფერი რიგზე არის, რომ კავშირის წევრიც და საკავშირო ორგანოც დგანან თავის დანიშნულების სიმაღლეზე.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ყრილობისათვის

თუმცა საქართველოში სასოფლო მეურნეობის კოოპერატიულთა გაერთიანების თავისებურ ცდებს ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასასრულში, მაგრამ საქართველოს გასაბჭოებამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ჩვენში ფაქტიურად არ არსებობდა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ფუნქციებს კისრულობდენ საკრედიტო ამხანაგობანი და მომხმარებელი კოოპერაცია, რომელიც უკანასკნელ დრომდე არ სთმობდა თავის პოზიციებს ამ დარგში, იცავდა კოოპერაციის შეწინააღმდეგ ინტეგრაციის პრინციპს. მხოლოდ გასულ წელში საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტის გამოცემის და საქართველოს კომპარტიის მესამე ყრილობის შემდეგ ხდება სასოფლო-სამეურნეო და მომხმარებელი კოოპერაციის შორის ფუნქციების გამიჯვნა და იწყება ჩვენი საწარმოო კოოპერაციის ფორმალურ-იურიდიული ჩამოყალიბება.

ამ დროისთვის ჩვენი სასოფლო მეურნეობაც უკვე აღორძინების გზაზე იყო შემდგარი, ბაზარზე გამოსატან საქონლისათვის (товарность) მუშაობა მასში უკვე საკმაოდ იყო განვითარებული და ის სცდილობდა შინაურ და შორეულ ბაზარზე თავის წინანდელი მდგომარეობის აღდგენას. ამასვე ხელს უწყობდა ფულის კურსის გამტკიცება და ჩვენი სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებში რუსეთის ბაზრის დაინტერესებაც.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღორძინებისა და სასოფლო მეურნეობის გამოცოცხლებასთან ერთად იწყება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ზრდაც. ეს პროცესი შემჩნეული იყო ჯერ კიდევ 1923 წელში ტ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრათ წარმოკავშირის აღიარების შემდეგ, ის მეტად დაჩქარებული ტემპით განვითარდა.

ი. საპაიო თანხა გაზრდილა ამ ხნის განმავლობაში 495 პროც. ამასთან პარალელურად იზრდებოდა ამხანაგობათა აღებ-მიცემობაც, ბრუნვა. 1924 წ. პირველ ნახევარში ძირითადი კოოპერატივებმა ბრუნვა გაზრდილა 126 პროც., თითო კოოპერატივის ბრუნვა ამ ხნის განმავლობაში უდრიდა 27,586 მანეთს.

წარმოკავშირი არსებითი დახმარებას აწევდის ძირითად ორგანიზაციებს მათ საქმიანობაში, როგორც მატერიალურად, ისე რჩევა-დარიგებებით და საერთო ხელმძღვანელობით. ეს იქიდანაც ნათლად სჩანს, რომ სასოფლო - სამეურნეო ამხანაგობათა რიცხვი და მათი საქმიანობა არაჩვეულებრივი ჩქარი ტემპით გაიზარდა მხოლოდ სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ცენტრათ წარმოკავშირის აღიარების შემდეგ.

წარმოკავშირმა დაამზადა 1923—1924 წ. თავისი ორგანიზაციების საშუალებით სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები: ღვინო, მატყლი, ხილი და სხვა საერთო ღირებულებით 2 მილიონამდე. სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებისთვის ბაზრის მოჰოებასთან ერთად წარმოკავშირი სცდილობს ხელი შეუწყოს მეურნეობაში კულტურულ-ტეხნიკურ გაუმჯობესებათა შეტანას საცდელი დაწესებულებების, სანერგეების და სხვათა მოწყობით ამავე მიზნით ის აწვდის კოოპერატიულთა გაერთიანებულ გლეხობას სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, სათესლე და საწამლო მასალას და სხვა. საერთოდ წარმოკავშირის საშუალებით გლეხობისთვის მიწოდებული საქონლის ღირებულება 1.200.000 მანეთზე მეტია.

წარმოკავშირი დიდ ყურადღებას აქცევს აგრეთვე ნედლეულობის გადამუშავებას. ამ მიზნით მან შეიძინა სარეტიფიკაციო ქარხანა, სადაც სწარმოებს არყის დამზადება. ისევე აწარმოებს მის მიერ დამზადებულ ბაშბის გაწმენდას და გადამუშავებას ოჯარით აღებულ ქარხანაში. აგიოლმბრივ ბაზარზე სოფლის ნაწარმოებთა გასაღების მიზნით მას თბილისში გახსნილი აქვს გამსაღებელი პუნქტი.

პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად ის ეწევა სოფლად კულტურულ მუშაობას აგრიკულტურულ ღონისძიებების შეტანით, სათანადო რჩევა-დარიგებების მიცემით ინსტრუქტორების საშუალებით და სხვა.

საერთოდ წარმოკავშირის საქმიანობა თანდათანობით ფართოვდება და იზრდება. მისმა ხანმოკლე არსებობამ საკმაო კვალი დაუჩინა სასოფლო მეურნეობას განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში.

როგორც სხვა კოოპერატიული ორგანიზაციები, დღემდე წარმოკავშირიც თავის საწარმოო საშუალებებს უმთავრესად გარედან იღებდა. წელს დიდმა ზამთარმა მისი მუშაობის ზოგიერთ დარგებს საკმაო ზიანი მიაყენა და ჯერჯერობით ის იძულებული იქნება გარედან მიღებული საწარმოო საშუალებებით აწარმოოს თავისი საქმიანობა.

მაგრამ თანდათანობით ის შესძლებს ფინანსიურ მოღონიერებას და საკუთარ ფეხზე დადგომას. ამის თავდებია კოოპერატიულთა შეკავშირებული მოსახლეობის შეგნების ზრდა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მუშაობისათვის თანდათან უფრო ნორმალური პირობების შექმნა.

ამ მხრივ არსებული მდგომარეობა წარსულთან შედარებით გაცილებით უკეთესია, თუმცა ჯერ კიდევ მრავალი დაბრკოლებები და დეფექტებია გადასალახავი და დასაძლეელი.

29 მარტისთვის მოწვეულ წარმოკავშირის მესამე ყრილობის შემდეგ, მისი როლი ჩვენი სასოფლო მეურნეობის განვითარების საქმეში უეჭველია კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება.

ჩვენი პარტიის და მთავრობის დახმარებით და მშრომელი გლეხობის მის საქმიანობაში უშუალო მონაწილეობით ის შესძლებს ყველა ამ დაბრკოლებების გადალახვას რომლებიც ხელს უშლიდენ მისი მუშაობის უფრო მეტი ნაყოფიერებით წარმოებას.

ყრილობა ჯამს გაუკეთებს წარსულ მუშაობას და მიღებულ გამოცდილების მიხედვით უფრო სწორი გზით წარართავს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებას, სასოფლო მეურნეობის კოლექტიურ ნიადაგზე მოწყობას.

ი. ბ.

ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲗᲐ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲔᲑᲘ 1924—1925 Წ.

III
სესიის შესწორებანი

პირველ წერილში იყო აღნიშნული, რომ საკავშირო და მოკავშირეთა ბიუჯეტები საორიენტაციო ხასიათისაა. მათში საბიუჯეტო წლის განმავლობაში არა ერთხელ ხდება ცვლილება. მესამე სესიამაც დამტკიცებულ საორიენტაციო ბიუჯეტში შეიტანა ზოგიერთი ცვლილებები, რომელნიც თუმცა ბიუჯეტის ხასიათს საერთოდ არ ცვლის, მაგრამ ეს ცვლილებები მაინც საყურადღებოა და ეხება როგორც შემოსავალს ისე გასავალს.

საგრძნობლად გადიდებულია შემდეგი წყაროებიდან ნავარაუდევი შემოსავალი: სააქციზო—40 მილ. მან., ტრანსპორტის—40 მილ. მ., ფოსტა-ტელეგრაფის—15,5 მილ. მ. და სხვა წყაროებიდან—11 მილ. მ., სულ 107 მილ. მანეთი.

პირიქით შემოსავლის შემცირებას მოელიან: სასოფლო-სამეურნეო გადასახადის—10 მილ. მანეთით, საგლეხო სესხის—15 მილ. მან. და უკრაინაში სარეტო გადასახადის 800 ათას მანეთით, სულ 25,8 მილ. მან.

შემოსავლის შემცირება-გადიდებიდან საბოლოოდ რჩება ვარაუდით 81 მილიონი განსხვავება, რომელიც ემატება ადრე მიღებულ შემოსავლის საორიენტაციო ძირითად ბიუჯეტის თანხას 2,278 ათას მანეთ. . ამნაირად მესამე სესიის მიერ მიღებული ვარაუდით კავშირის მთელი შემოსავალი უდრის დარგვლებით 2.360 ათას მ. (81 და 2,278) ოქროს პატარა ბიუჯეტთან შეერთებით კავშირის შემოსავალი მიმდინარე წელს ნავარაუდევია სულ 2,440 ათასი მან.

რესპუბლიკებს მრავალი დიდმნიშვნელოვანი სადღეისო მოთხოვნილებები აქვს და მათი დაკმაყოფილებას უსახსრობა აფერხებს.

შემოსავლის გადიდებამ კავშრის მისცა საშუალება დაეკმაყოფილოს ზოგიერთი ასეთი მოთხოვნილება. პირველ რიგში კავშირი აფართოვებს. რკინის გზას, გზატკეცილების და მათთან დაკავშირებულ სამეურნეო დარგთა ხარჯებს—სულ 40 მილ. მანეთით, შემდეგ სახალხო განათლების ხარჯად ემატება 15 მილ. მან. მოუსავლიანობისაგან დაზარალებულთა დასახმარებლათ 8 მილ. მან.; გრძელვადიანი სესხის სახით კოოპერაციის საბრუნავ თანხის გასადიდებლად გაიცემა 8 მილიონი მან.; სამხედრო და საზღვაო სახ. კომისარიატს უნდა მიეცეს 5 მილ. მან.; სტიქიურ უბედურებასთან საბრძოლველად და სხვა ხარჯების დასაფარავად 4,7 მილ. მან. ამნაირად სხვა დასხვა დარგში ხარჯები გაიზარდა დარგვალებით 81 მილ. მან.

ასეთია ის შესწორებანი, რომლებიც მესამე სესიამ შეიტანა ადრე მიღებულ და მომქმედ საკავშირო ბიუჯეტში.

ამით ვთავებთ საერთო საკავშირო ბიუჯეტის საერთო დახასიათებას. შემდეგ წერილში ჩვენ შეეუდგებით ამიერ-კავკასიის ფედერატიულ და ცალ-ცალკე რესპუბლიკათა ბიუჯეტების განხილვას; კავშირის შემოსავალთა წყაროებს ეკონომიური და ფინანსიური თვალსაზრისით განვიხილავთ მას შემდეგ, რაც ამიერ კავკასიის ბიუჯეტების საკითხებს გავარჩევთ.

IV
ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲔᲑᲘ

ამიერ-კავკასიაში ჩვენ გვაქვს ოთხი მთავარი ბიუჯეტი: აზერბეიჯანის, საქართველოს, სომხეთის და მათი საკავშირო ანუ ფედერატიული მთავრობის.

ბიუჯეტებს საფუძვლად აქვს საკავშირო ცაკის მეორე სესიის მიერ 1924 წ. 29 ოქტომბერს დამტკიცებული კანონი კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკათა საბიუჯეტო უფლებების შესახებ. კავშირის საბიუჯეტო უფლება სახელმწიფო შემოსავლებს ორ ჯგუფად ჰყოფს: შემოსავალი საერთო კავშირის და შემოსავალი მოკავშირე რესპუბლიკათა. საერთოდ ყოველგვარი საგადასახადო წყაროები კონსტიტუციით საერთო კავშრს ეკუთვნის. ის არის პატრონი ყველა ამ წყაროების და აგრეთვე არასაგადასახადო შემოსავლისაც, თუ არასაგადასახადო წყაროს საერთო საკავშირო მნიშვნელობა აქვს ან თუ ის ითვლება ასეთ წყაროდ. საშემოსავლო წყაროების შემოსავალიდან, რომელიც საერთო კავშრს ეკუთვნის, მოკავშირე რესპუბლიკები თავიანთ ხარჯების დასაფარავად იმდენს და იმ სახით იღებენ, რამდენსაც და რა სახითაც საკავშირო ცაკი თავის დადგენილებით მათ ყოველწლიურად დაუთმობს.

2 კავშირს ეკუთვნის ყოველგვარი პირდაპირი გადასახადები: ერთიანი სასოფლო-სამეურნეო, სარეწავი, სახელმწიფო საშემოსავლო, ერთდროული; არაპირდაპირი გადასახადები და საღირბო გადასახადი. შემდეგ არასაგადასახადო შემოსავალი საკავშირო უწყებათა და გაერთიანებულ კომისარიატების, სახელმწიფო ფონდები; აგრედვე მას ეკუთვნის საკავშირო ორგანო ბის, ვაჭრობა-მრეწველობის ოპერაციებიდან შემოსავალი, საკავშირო ხასიათის სესხები, ვერცხლის და სპილენძის ფულის ემისიიდან მოგება, ე. ი. ყველა ის შემოსავალი, რომელიც სახელმწიფოს უნდა ეკუთვნოდეს. ასეთი საბიუჯეტო უფლებებით არის აღჭურვილი საერთო კავშირი.

აქ შედის თითქმის ყოველგვარი წყარო, და რომ მოკავშირე რესპუბლიკებმა იარსებონ, კავშირი მათ უთმობს ზოგიერთ გადასახადებს ან მთლიანად ან ნაწილობრივ ანარიცხის სახით. დაწერილებით ჩვენ აქ შემოსავლის განაწილების საკითხს არ ვეხებით; ამაზე ჩვენ ვილაპარაკებთ მაშინ, როდესაც საბიუჯეტო უფლების ახალ პროექტს გავარჩევთ. ახლა მხოლოდ აღვნიშნავთ ამიერ-კავკასიის საშემოსავლო წყაროებს, რომელნიც ბიუჯეტში უკვე არის შეტანილი და ჩვენ მათ ვიღებთ, როგორც ფაქტიურ საფუძველს ამიერ-კავკასიის ბიუჯეტისა.

კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით მიმდინარე წელს ამიერ-კავკასიის ფედერატიულ ოესპუბლიკას თავის ბიუჯეტში შესატანად დაეთმო (ყოველგან იგულისხმება ის შემოსავალი, რომელიც ამიერ-კავკასიაში გროვდება) სასოფლო-სამეურნეო გადასახადის—100 პროც. (7,5 მილ. მან.), სარეწავი გადასახადის—100 პროც. (4 მილ. მან.) და სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის—100 პროც. (2,8 მილ. მან.); სულ დაეთმო 14,3 მილ. მან.*) ეს დათმობა დაშვებულია, როგორც გამონაკლისი მხოლოდ მიმდინარე საბიუჯეტო წელს.

ამნაირათ ამიერ-კავკასიის ფედერატიულ და რესპუბლიკათა ბიუჯეტებს შენაკრფეს შემდეგ სურათს ვვაძლევს (მილ. მან.):

ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑ. ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕ.	1923—24	1924—25
პირდაპირი გადასახ.		
ერთიანი სას.-სამეურნეო.	—	7,5
სარეწავი	—	4,0
საშემოსავლო	—	2,8
საარნტო.	—	0,5
სამეწყალო.	—	0,084
სულ. . .	—	14,824
ბაჟები.	0,277	0,540
სულ საგადასახადო.	0,277	15,364
სახელმწ. ქონებიდან და წამოწყებებიდან. . . .	0,948	3,126
ხარჯების ანაზღაურება.	0,468	0 095
სხვადასხვა შემოსავალი.	0,345	0,276
სულ არასაგად. შეკრ.	1,761	3,497
სულ ჩვეულებ. შემოსავ.	2,038	18,860
არაჩვეულებრივი შემოსავალი		
ფონდების რეალიზაცია.	0,165	0,010
ემისია.	15,600	—
სულ არაჩვეულ. შემ.	15,765	0,010
შემოსავ. საერ. ჯამი.	17,803	18,871
დეფიციტი	19,584	11,312
ბალანსი.	37,387	30,183

ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑ. ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ	23—24 წელი	24—25 წელი
გაერთიანებული უწყებები და დაწესებულებები .	3,406	4,749
არა გაერთიანებული უწყებები და დაწესებულებები.	19,569	20,989
სახ. კომ. საბ. რეზერვი.	10,156	1,500
სასუბვენციო ფონდი . .	2,065	2,210
სულ ჩვეულებ. ხარჯები.	35,196	29,448
არაჩვეულებ. ხარჯები. .	2,191	—
ხარჯების საერთო ჯამი .	37,387	30,183

1924—25 წელს ამიერ-კავკასიის (ფედერატ. მთავრობის, საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის) ბიუჯეტების დეფიციტი უდრის 11.312 ათას მანეთს, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ საერთო კავშირის ცაკი ამიერ-კავკასიას მხოლოდ ერთი წლით უთმობს 14,3 მილ. მანეთს, რომელიც ზევით აღნიშნულ წყაროებიდან ამიერ-კავკასიაში გროვდება, მაშინ დეფიციტი უდრის 25,6 მილ. მანეთს, და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების და ფედერატიულ მთავრობის ყოველგვარ შემოსავლის საერთო ჯამი არ აღემატება 4,6 მილ. მანეთს. საბიუჯეტო უფლებით მხოლოდ ეს შემოსავალი ეკუთვნის ამიერ კავკასიის რესპუბლიკებს მთავრობებს. ასეთია თანამედროვე საბიუჯეტო უფლებების ნიადაგზე ამიერ-კავკასიის ბიუჯეტთა შენაკრეფის სურათი და საერთოდ ამიერ-კავკასიის ფინანსიური მდგომარეობა.

შემდეგ წერილში განეიხილავთ, თუ როგორ ნაწილდება 30,2 მილ. მან. ამიერ-კავკასიის ფედერატიულ მთავრობის და სამი მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტებს შორის.

დ. თოფურიძე.

*) აქ არ ინგარიშება ის ორი მილ. მან., რომელიც შვიდ მარტს საკავშრო ცაკის სესიის დადგენილებით ამიერ-კავკასიას გადაეცა სტიქიურ უბედურების შედეგებთან საბრძოლველათ.

ᲡᲣᲜ-ᲘᲐᲢ-ᲡᲔᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲙᲝᲛᲘᲜᲢᲔᲠᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐᲓᲛᲘ

„ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠᲗ, ᲠᲝᲛ ᲗᲥᲕᲔᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲜᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲣᲜ-ᲘᲐᲢ-ᲡᲔᲜᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲔᲑᲗᲐᲜ“

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲖᲘᲜᲝᲕᲘᲔᲕᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებთან ერთად

გომინდანის აღმასკომის დეპეშა

მოსკოვი, 14 მარტი. რ. კ. პ. ცეკას მდივნის ამხ. სტალინის და კომინტერნის აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ზინოვიევის სახელზე მიღებულია პეკინიდან გომინდანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შემდეგი დეპეშა:

„ჩინეთის ნაციონალურ-რევოლიუციონერმა მოძრაობამ სუნ-იატ-სენის სახით დაჰკარგა ბელადი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში მუშაობდა ისეთი პარტიის შესაქმნელად, რომელიც გაანთავისუფლებდა ჩინეთის მასებს გაყვლეფისაგან, კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმისაგან. ამ

კომინტერნის პასუხი

მოსკოვი, 14 მარტი. კომინტერნის აღმასკომმა გომინდანის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს სპასუხოდ გაუგზავნა შემდეგი დეპეშა, ხელმოწერილი ზინოვიევის მიერ:

„ცნობა სუნ-იატ-სენის გარდაცვალების შესახებ მწუხარებით აღავსებს მთელი მსოფლიოს შეგნებული მუშების გულს. სუნ-იატ-სენი მოკვდა იმ ღროს, როცა მისმა მუშაობამ დაიწყო სასურველი ნაყოფის მოტანა. ჩინეთის ხალხის ნაციონალურ-რევოლიუციონურ მოძრაობას უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. კომინტერნი უდიდესი ყურადღებით ადევნებს თვალყურს ჩინეთის ხალხის ბრძოლას. მან იცის, რომ ჩინეთის მუშათა კლასს, როგორც

რ. კ. პ. ᲪᲔᲙᲐᲡ ᲓᲔᲙᲔᲨᲐ

მოსკოვი, 14 მარტი. რ. კ. პ. ცეკამ გაუგზავნა გომინდანის ცენტრალურ კომიტეტს შემდეგი დეპეშა: „რ. კ. პ. ცეკა თქვენთან ერთად გლოვობს გომინდანის ბელადის, ჩინეთის მუშების და გლეხების ამ ნაციონალურ განმათავისუფლებელი ბრძოლის ორგანიზატორის დაკარგვას, რომელიც მიზნათ ისახავს ჩინეთის ხალხის თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, ჩინეთის სახელმწიფოს მთლიანობის და დამოუკიდებლობის მიღწევას.

რ. კ. პ. ცეკას ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ სუნ-იატ-სენის დიადი საქმე არ მოკვდება სუნ-იატ-სენთან ერთად, რომ სუნ-იატ-სენის საქმე იცოცხლებს ჩინეთის მუშების და გლეხების გულში ჩინეთის ხალხის ბრძოლისათვის თავგზარის დასაცემად.

რ. კ. პ. ცეკას სწამს, რომ გომინდანს მაღლა ეჭირება ხელში სუნ-იატ-სენის დროშა დიად ბრძოლაში იმპერიალიზმისაგან განთავისუფლებისათვის, რომ გომინდან ღირსეულად მიიტანს ამ დროშას სრულ გამარჯვებამდე, იმპერიალიზმის და მისი ჩინეთის აგენტების განადგურებამდე.

სუნ-იატ-სენი მოკვდა—გაუმარჯოს სუნ-იატ-სენის საქმეს, დეე ცოცხლობდეს და ძლიერდებოდეს სუნ-იატ-სენის ანდერძი.

რ. კ. პ. ცეკას მდივანი: სტალინი.

ᲐᲛᲮ. ᲯᲘᲢᲕᲘᲜᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲫᲘᲛᲐᲠᲘ

მოსკოვი, 14 მარტი. საგარეო საქმეთა სახ. კომისრის მოადგილემ ამხ. ლიტვინოვმა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს გაუგზავნა თანაგრძნობის დეპეშა სუნ-იატ-სენის ვარდაცვალების გამო.

ᲠᲐᲡ ᲬᲔᲠᲔᲜ ᲡᲣᲜ-ᲘᲐᲢ-ᲡᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საᲞᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ

პარიზი. 13 მარტი. სუნ-იატ-სენის სიკვდილის შესახებ პრესა ცოტას სწერს. ბურჟუაზიული და პოლიტიკური წრეები არ ფარავენ თავის მტრულ განწყობილებას ჩინეთის რევოლიუციონერებისადმი, რომელიც დაუახლოვდა საბჭოთა კავშირს.

სოციალისტური გაზეთი „პეპლი“ აღნიშნავს, რომ სუნ-იატ-სენი არ

ᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲒᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲗᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲜᲑᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲨᲐ ᲡᲣᲜ-ᲘᲐᲢ-ᲡᲔᲜᲘᲡ ᲕᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ᲡᲝᲤᲚᲐᲓ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲣᲠᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სოფლად ჟურნალ-გაზეთების და გლეხური ლიტერატურის გავრცელების მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ცხადზე უცხადესია, რომ თუ ჩვენი ჩამოოჩენილი გლეხობა კულტურულად მაღლა არ ავსწეიან. ისე ზედმეტია „ახალი სოფლის“ შექმნაზე და მის განმტკიცებაზე ლაპარაკი. ამიტომ ამ საქმეს კომპარტიაო და მთავრობაც დიდ ყურადღებას აქცევენ; იცემა მრავალი გლეხური წიგნები, გამოდის გაზეთები. მაგრამ მათი გაგრცელება ვერ არის კარგათ დაყენებული და გლეხისათვის ეს ლიტერ

ჩინეთის პრესა

პეკინი. 13 მარტი. გაზეთები სავსეა ცნობებით სუნ-იატ-სენის ცხოვრების, მოღვაწეობის და გარდაცვალების შესახებ. ჩინეთის ყველა გაზეთები, მისი მოწინააღმდეგენიც კი, დიდი პატივისცემით იხსენიებენ მიცვალებულს.

„ჩეხბაო“, მტრულად განწყობილი ვომინდანის პარტიასადმი, ამბობს: „თუმცა ჩვენ არ ვეთანხმებით მის სწავლებას და ტაქტიკას, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ სუნ-იატ-სენი ყოველთვის პირველ რიგში იდგა ნაციონალურ-რევოლიუციონურ მოძრაობის საქმეში, არასოდეს არ უღალატნია რევოლიუციონურ პრინციპებისათვის და იყო არაჩვეულებრივი მტკიცე ნების ადამიანი, რომელმაც არ იცის რაყვა და ყოყმანი“.

„შუიტუნ შიპაო“ ამბობს: „სუნ-იატ-სენის სახელი არის განსაღებული ჩინეთის განსახიერება, მისი სიკეთილი დანაკლისია არა მარტო გომინდანისთვის, არამედ მთელი ერისთვის. ეს იყო დიდი, ბრწყინვალე მოაზროვნე, რომელიც იდგა რეალობის ნიადაგზე, ის იყო არა მარტო პარტიის ბელადი, არამედ ეროვნული გმირიც“.

გაზეთი „იიშიპაპ“ სწერს: „სუნ-იატ-სენი იყო ნაციონალური განთავისუფლებისათვის ბრძოლის წინამძღოლი, ის აწარმოებდა ამ ბრძოლას უკომპრომისოდ, მიუხედავად ბედის უკუღმართობისა. ის ხელისუფლების დაპყრობას უცქერდა, როგორც საშუალებას თავისი იდეების განხორციელებისათვის“.

ჩინეთის უცხოეთის პრესაც ღირსეულად იხსენებს მიცვალებულს.

„პეკინ ლიდერ“ სწერს: „30 წლის განმავლობაში ის იწოდა პატრიოტიზმის ცეცხლში. მისმა ბრძოლამ და ენტუზიაზმმა ხალხი გამოიყვანა ახალ პოლიტიკურ გზაზე და შექმნა ჩინეთში ერთად-ერთი ნამდვილი პოლიტიკური პარტია“.

გაზეთი „ფორნტერნ ტაიმს“-ის აზრით, სუნ-იატ-სენის განსაკუთრებულმა ენერგიამ და მისმა ერთგულებამ თავისი იდეებისადმი უალრესად ხელი შეუწყვეს დემოკრატიის საქმეს, გადაუშალეს ჩინეთის ხალხს ახალი პერსპექტივები, შთაბერეს მას თავისი იმედი, თავისი მიზნების ცხოვრებაში გატარების უნარი“.

სრული დისონანსი შეიქმნა სუნ-იატ-სენის შეფასებაში ინგლისის ოფიციალურ გაზეთს „პეკინენდტიან-დაზინ ტაიმს“-ის წერილს; ის აღნიშნავს: „ეს იყო ადამიანი, შეპყრობილი იდეებით თავისი საკუთარი მნიშვნელობის შესახებ. მას არ ჰყოფნიდა გონებრივი წონასწორობა და მისი პოლიტიკა ყოველთვის იყო გამანადგურებელი. მისი გავლენა ჩინეთზე მეტად საზიანო იყო: ის იყო უწესოების და ანარქიის მქადაგებელი და მას ეკისრება ძნელი პასუხისმგებლობა ხალხის უბედურებისათვის. მისი ერთად-ერთი მეგობრები იყვნენ—ერთი მუჰა ჩინელი და რუსი ბოლშევიკები.

იაპონიის პრესა

„კოკუმინ“ სუნ-იატ-სენის გარდაცვალების შესახებ.

ტოკიო, 13 მარტი. სუნ-იატ-სენის გარდაცვალების გამო გაზეთი „კოკუმინ“ სწერს: „სუნ-იატ-სენის სიკვდილი აუნაზღაურებელი დანაკლისია ჩინეთის მომავალისათვის, განსაკუთრებით ამ ბრძოლის ნაფიც ლიდერ-ლენინის დამოკიდებულებაზე. ეს ორი ადამიანი ერთ-ერთ ფენომენად ითვლებოდა ჩვენ ეპოქაში

ს. ს. ს. რ. სახ. კომისარიატის საბჭოს სტატისტიკურ-ეკონომიკურ [illegible]

~~კომისტების~~ ბატარეებისათვის

დადგენილება ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

1925 წლის მარტის 14

ამბ. სოც. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 3ე-8 სესიის მიერ ამნისტიის თაობაზე მიღებული დადგენილების სისრულეში მოყვანის შესახებ.

საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის მე-3 სესიის მიერ ამა მარტის 7-ს მიღებული დადგენილების აღასრულებლად ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს ამა მარტის 17-სათვის სისრულეში მოიყვანონ ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მესამე სესიის მიერ ამნისტიის შესახებ მიღებული დადგენილება იმ პირთა მიმართ, ვისზედაც სწარმოებს გამოკვლევა და გამოძიება, ვისაც მისჯილი აქვს ფულადი გადასახდელი ან ვინც იხდის სასჯელს რესპუბლიკური ხელისუფლების ადმინისტრატიულ ან სასამართლო ორგანოთა დადგენილების თანახმად—კუთვნილებისამებრ.

2. დაევალოს ა.-კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს, კავკასიის წითელ-დროშიანი არმიის სამხედრო ტრიბუნალს და ა.-კ. საგანგებო კომისიას ამა მარტის 17 სათვის სისრულეში მოიყვანონ ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მესამე სესიის მიერ ამნისტიის შესახებ მიღებული დადგენილება იმ პირთა მიმართ, ვისზედაც წარმოებს გამოკვლევა და გამოძიება, ვისაც მისჯილი აქვს ფულადი გადასახდელი ან ვინც იხდის სასჯელს მათი დადგენილებისა და ვანაჩენის თანახმად კუთვნილებისამებრ. მუშაობის მსვლელობა და ამა დადგენილების სამოლოოდ შესრულება უნდა ეცნობოს ა.-კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მცირე პრეზიდიუმს ორ უგვიანეს ამა მარტის 20-ს რაცხვისა.

3. დაეკისროს ა.-კ. ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის მცირე პრეზიდიუმს თვალყური ადევნოს, რათა ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მე-3 სესიის ამა მარტის 7-ს ამნისტია სისწორით და თანაბრად იქნეს შესრულებული ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მიაწოდოს საათანადო ორგანოებს სახელმძღვანელო განმარტებანი ისეთი საკითხების გამო, რაც ადგილობრივ შეიძლება აღიძრას აღნიშნული ამნისტიის განხორციელების დროს და აგრეთვე გადასწყვეტოს ხოლმე საჩივარი, რასაც დაინტერესებული პირი შეიტანს ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სასამართლო და ადმინისტრატიული ორგანოების დადგენილებაზე.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სტურუა.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

დანიშნული, კვირას, 15 მარტს, დილის სრულ 12 საათზე

თბილისის სამაზრო-საქალაქო საბჭოთა ყრილობა

ამბ. ვლ. ი. ლენინის სახელობის საოპერო თეატრში, გადატანილია რუსთაველის სახელობის თეატრში ამავე დროს ამავე რიცხვს.

შესვლა მთავარი შესასვლელიდან სასტუმრო ბარათებით და თბილისის მე-5-ე საბჭოს წევრების და მაზრის დელეგატების დროებითი მინდატებით.

საღამოს სტუმრებისათვის და დელეგატებისათვის იქნება გამართული ლამპა წარმოდგენა.

ყველა წევრთა დასწრება საკალდებულოა.

6. 942 3—3 **თბილისის სამაზრო-საქალაქო საარჩევნო კომისია.**

დანიშნული, კვირას, 15 მარტს, დილის სრულ 10 საათზე

თბილისის სამაზრო-საქალაქო საბჭოთა ყრილობის კომფრაქციის სხდომა

ამბ. ვლ. ი. ლენინის სახელობის საოპერო თეატრში, გადატანილია რუსთაველის სახელობის თეატრში ამავე რიცხვს ამავე დროს.

თბილისის მე-5-ე მოწვევის საბჭოს პარტიის წევრ. დეპუტატების და მაზრის დელეგატების დასწრება საკალდებულოა

შესვლა დროებითი მანდატებით და პარტ-ბილეთებით.

6. 943. 3—3 **ფრაქციის ბიურო.**

პარტიული ცხოვრება

საბჭოთა უჯრედების საერთო საკალაკო თათბირი

საბჭოთა უჯრედების თათბირი გაიხსნა 12 მარტს. თათბირს დესწრებენ კომპარტიის უჯრედების მდივნები და ბიუროების წევრები, ახალგ. ლენინურ კომკავშირის უჯრედების მდივნები, ადგილკომების მდივნები (პარტიის წევრები) და დიდ დაწესებულებათა ადმინისტრატორები.

თათბირის ღიღის წესრიგში დასმული იყო 6 საბჭოთა უჯრედის მოხსენებანი, მოხსენება საბჭოთა უჯრედების და ეკონომიურ თათბირების ამოცანების შესახებ.

თათბირის გახსნისას თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კომპარტიის თბილისის კომიტეტის დადგენილებით მოწვეული თათბირის მიზანია იმ მუშაობისა და მიღწევათა-ვის ჯამის გაკეთება, რომელიც არის ჩვენი საბჭოთა უჯრედების პარტიულ მუშაობაში. შემდეგ თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მთავარი, რასაც თბილისის კომიტეტმა ეიაქცია ყურადღება—ეს არის იმ დეფექტები და ნაკლულოვანებათა აღნუსხვა, რომელსაც ადგალი აქვს ჩვენ საბჭოთა დაწესებულებათა უჯრედების მუშაობაში.

ამ ნაკლოვანებათა ერთ-ერთ-ერთ ფორმად ეს ეს ... ...

„მეცნიერება და ტექნიკა“ №5 და „ჩირაღდანი“

იბეჭდება და დაურიგდება „კომუნისტი“-ს ხელისმომწერთ მარტის 18-ს

ამინდი ამიერ-კავკასიაში

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობით, 14 მარტს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში იდგა შემდეგი დარები:

ბათომი. ზღვაზე მსუბუქი ღელვა. ცა მოწმენდილი, აღმოსავლეთის მსუბუქი ქარი. სითბო 8 გრადუსი.

ქუთაისი. წყნარი მოღრუბლული დღე. ღამით სწვიმდა. სითბო 10 გრადუსი.

ბორჯომი. მოღრუბლული ამინდი. სითბო 2 გრადუსი.

გორი. მოღრუბლული ამინდი. ქრის აღმოსავლეთის მსუბუქი ქარი. სითბო 8 გრ.

თბილისი. მოღრუბლული დღე. ქრის სამხრეთის ნელი ქარი, სითბო 9 გრადუსი.

ბაქო. ზღვაზე მსუბუქი მღელვარება, ნისლიანი დღე, ქრის სამხრეთის ნელი ქარი, სითბო 4 გრად.

ტემპერატურა უკანასკნელი ცნობებითი.

ბათომი	ცელსიუსით	სითბო	8 გრად
ქუთაისი	„	„	10 გრად.
ბორჯომი	„	„	2 გრად.
გორი	„	„	8 გრად.
თბილისი	„	„	9 გრად.
ბაქო	„	„	4 გრად.

მტკვრის აღმდგება

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის საამფენებლო უბანთან

10 მარტიდან—11 მარტამდე ღამით დაიწყო მტკვრის დონის უეცარი ამაღლება. ამავე დროს ზემოავჭალის ელსადგურის ჰიდრომეტრიულმა სადგურმა გორიდან და ბორჯომიდან პირდაპირი მალთულით აცნობეს ზემოავჭალას წყლის დონის თანდათანობითი მომატების შესახებ. მტკვრის ადიდებისგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად მიღებულ იქნა სასწრაფო ზომები. ვინაიდან მოსალოდნელი იყო მთავარი საგუბარის ბალავერის გამამაგრებელ ჯებირებზე ადიდებული მტკვრის გადავლა, სასწრაფოთ დაიწყო ქვაბულიდან (котлован) მექანიკური და ელექტრო-მექანიკური იარაღების და მთელი საამშენებლო მასალის გადატანა. 5 სათის განმავლობაში მოხდა ყველა ზემოხსენებული ხელსაწყოების და მასალის ევაკუაცია ქვაბულიდან. 11 მარტს დილით წყლის სიმაღლე ჯებირს ერთი მეტრით ასცილდა. შემდეგ წყალმა იწყო თანდათან კლება, რომელიც გრძელდება 2 დღეს 11—12 მარტს.

13 მარტიდან დაიდგა წყლის საქაჩი მანქანები და დაიწყო წყლის ჩამოქაჩვა ქვაბულიდან. მუშაობა ქვაბულში განახლებულ იქნება ორშაბათს—16 მარტს.

წყლის ადიდების დროს საინტერესო სანახაობას წარმოადგენდა განათხარი მტკვრის მარცხენა ნაპირზე. განათხარში გატარდა მთელი ადიდებული წყალი, რომლის სიმაღლე ყოველ წუთში უდრიდა 500 კუბიკურ მეტრს. წყლის მიმდინარეობის სიჩქარე აღემატებოდა 10 მეტრს წუთში.

საგჭოთა სასამართლო

სათიჭალის უანის სახალხო სასამართლოს სინია სოფ. ხაშმში

(ბარე-კაბეთი)

10 მარტს 1925 წელს სოფელ ხაშმში იქნა გარჩეული საქმე თედო მურადაშვილისა, რომელსაც ბრალი ედებოდა ამხანაგის სახლიდან ქურდულად თოფის წაღებაში, ქალის მოტაცების განზრახვაში და საბძლის დაწვაში.

თაამჯდომარეობდა სახალხო მოსამართლე ამხ. დათუნაშვილი, მსაჯულად იყვნენ: ამხ. ჭოლოკავა და ამხ. კოპლატაძე, მდივნობდა ამხ. არტუშკოვი. საზოგადო ბრალმდებლად გამოვიდა ამხ. დიაროვი, დამცველად ამხ. ბურთიკაშვილი.

სასამართლოს სხდომას დაესწრნენ აუარებელი გლეხები, გლეხი ქალები და ყველა საბჭოთა მუშა-მოსამსახურენი. სოფ. ხაშმის თეატრის დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი.

გამოირკვა, რომ თედო მურადაშვილს ძლიერ ჰყვარებია ნინო ყიფიანი. ნინოც ჰპირდებოდა, რომ მეყოყარხარ და ცოლად წამოგყვებიო, მაგრამ ამათ ხელი შეუშალეს ქალის ნათესავებმა და აიძულეს, რომ ნინო ყიფიანს უარი ეთქვა ვატისათვის ცოლად გაყოლაზე. როცა ქალმა ნათესავების მოთხოვნით უარი უთხრა თედოს, უკანასკნელმა ვეღარ მოითმინა, შევიდა ერთ კომსომოლისტის სახლში, სადაც თოფი იყო შენახული და ქურდულად წამოიღო თოფი იქიდან, პირდაპირ წავიდა ნინოს ნათესავებთან, რომ მოლაპარაკებოდა მათ. სახლში არავინ კაცთაგანი არ დახვდა გარდა ქალებისა, თედო მურადაშვილმა ქალებს ხმა არ გასცა და გაბარუნდა უკან. იმ დროს დიასახლისმა ქალმა დაუძახა, რისთვის მოხვედიო და თოფში ხელი მოჰხვია წასართმევად. თედომ წინააღმდეგობა არ გაუწია.

ამ დროს ყიფიანის საბძელი დამწვარა. ვინ დაწვა, ან რა მიზეზით დაიწვა არავინ ეს არ იცის. ამისათვის სასამართლომ თედო მურადაშვილი ქალის მოტაცების განზრახვაში და საბძლის დაწვაში დამნაშავეთ არ სცნო და გაამართლა, ხოლო სასამართლომ თედო მურადაშვილი სცნო დამნაშავეთ თოფის მოპარვაში და მიუსაჯა მას 6 თვით ციხეში პატიმრობა, ჩაუთვალა სამი თვის წინასწარი დაპატიმრება და 7 მარტის საბჭოთა კავშირის ცაკის მესამე სესიის გამოცემულ ამნისტიის შეფარდებით სასჯელიდან სრულიად გაანთავისუფლა.

მ. გ—ძე.

რომელი გზა უნდა იქნეს გაყვანილი?

(ფყალტუბოს კურორტზე გზის გაყვანის გამო. მთავ. საკურორტო სამმართვ. და საგზ. მმართ. საყურადღებოდ)

ფყალტუბოს ავარაკი მდებარეობს ქუთაისიდან 8—9 ვერსის მანძილზე დასავლეთით. ამ ავარაკზე მოგზაურობა და მით სარგებლობა მეტად გასაჭირია ცუდი გზის გამო. არის გზა, მაგრამ სრულიად უფარგისია. ეტლებით მოგზაურობენ, მაგრამ დიდ ზიანს აყენებს მგზავრებსაც და ეტლებსაც.

დიდი ხანია ცდილობენ, როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი და ხელისუფლება, ისე ცენტრშიაც, გაიყვანონ ხეირიანი გზა. ამ საქმეში საკურორტო მმართველობასთან ერთად თვით ადგილობრივი მცხოვრებნიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ როგორც დაინტერესებულნი.

ჯ. ს. კ. საკურორტო სამმართველომ, რომელიც ხელმძღვანელობს ამ საქმეს, უკვე გამჭყო კომისია, რომელსაც ევალება გამოარკვიოს მასთან დაკავშირებული საკითხები. მაგრამ აქ თავი იჩინა აზრთა სხვადასხვაობამ გზის მიმართულების შესახებ. უნდა ითქვას, რომ ამხ. მეკავანაძის აზრი, თითქოს ფყალტუბოში ორი გზა მიდიოდეს, ერთი მაღლაკით და მეორეც მანოჯით (იხ. „მუშა“ № 36), არ არის ჯსრული სინამდვილე. იმგვარი გზა, როგორიც მაღლაკიდან მოდის ფყალტუბოში, მრავალია, ხოლო იმ გზებით მომსვლელნი მოაგარაკები კი ნაკლებ (ან სრულიად არა გვინახავს. უმთავრესათ და ყოველთვის აგარაკზე მომსვლელთ ერთი გზა ემსახურება და ეს გზაა ქუთაისიდან ბანოჯით ფყალტუბოში ძიმავალი გზა. მაღლაკის მიმართულებით გზა სრულიათ მოკლებულია ძოსახლეობას (გარდა სოფ. მაღლაკისა), ხოლო ბანოჯით მომავალი კი სავსებით შემორტყმულია მოსახლეობით. ამიტომ ეს გზა მცხოვრებლებს ინტერესებსაც ემსახურება და უფრო მიზანშეწონილია იგი იქნეს გაყვანილი. ამ გზაზე ბევრი ამაგი გაუწევია ადგილობრივ ფყალტუბოს თემის მცხოვრებთ. ისინი ყოველ წლივ მუშაობენ ამ გზაზე. გაიფართოვეს ის, გამოჭერნდათ ქვები, სტეხდენ, ქერავდეს და სხვ. ეს არის ერთად ერთი გზა, რომელიც აკავშირებს ფყალტუბოს თემისა და მის ახლომახლო სოფლების მცხოვრებ გლეხობას ქალ. ქუთაისთან. უქუთაისოთ მათ არ შეუძლიათ გასძლონ, განსაკუთრებით ზაფხულობით, როცა ხსენებული მცხოვრენი (მეხილეობის მომდევარნი) დღე-ღამით ეზიდებიან ხილს— ქალაქში გასაყიდათ. ამიტომ ისინიც მეტად დაინტერესებული არიან ამ გზის საკითხით და ყოველმხრივ ხელს უწყობენ მის გაყვანას (უნდა აღინიშნოს, რომ ამ გზით სარგებლობენ ავრეთვე, ცხუნკერისა და დედალაურის თემის მცხოვრებნიც).

1924 წ. 28 დეკ. თემის საბჭო, ხოლო 19 თებერვალს 1925 ფყალტ. თემის გლეხთა ყრილობა ადგენს „ეთხოვოს მთავარ საკურორტო სამართველოს, რათა აგარაკ ფყალტუბოს გზა ქუთაისიდან ფყალტუბომდე იქნეს გაყვანილი—გაკეთებული არა მაღლაკის, არამედ იმ მიმართულებით, რომლითაც გზაც დიდი ხანია დაწყებულია და რამდენიმედ ქვა დაყრილია. ვინაიდან ეს გზა დიდნაწილოვანია, როგორც თავისი სიგრცით, აგრეთვე დასახლებული ადგილითაც (დიდ მნიშვნელოვანია, როგორც აგარაკისათვის, ისე თემის მცხოვრებლებისათვის), ხოლო ჩვენ ვალათ ვიდგენთ თვითეული მეკომური გამოვიდეთ და ვიმუშაოთ უფასოდ ორ-ორი დღე“. (თემში სულ 1500-მდე კომლია).

საკურორტო განყოფილებაში კი ზოგიერთები ფიქრობენ და აპირებენ გზის გაყვანას არა ამ, არაფედ მაღლაკის მიმართულებით.

ამ მიმართულებით გზის გაყვანა ყოველათ დაუშვებელია. აქ გზა სრულუადაც არ არის გაკრილი. მოგვიხდება სულ ახალი გზის გაკრა. ამასთანავე ერთად ეს გზა თითქმის ორჯერ უფრო მეტი იქნება, ვიდრე პირველი. თუ ქუთაისიდან ბანოჯით ფყალტუბომდე 8 ვერსია, აქ, მაღლაკის მიმართულებით კი 15 ვერსი გამოვა (ქუთაისიდან მაღლაკამდე 8 ვერსი, ხოლო მაღლაკით ფყალტუბომდე 7 ვერსი). აქ 7 ვერსზე მოგვიხდება სრულიათ ახალი გზის გაკრა, მაშინ, როცა პირველზე გზა მთელი თავისი მანძილით გაკრილი და თითქმის გაკეთებულიც არის. ამ მიმართულების მომხრენი ასაბუთებენ თავიანთ აზრს იმით, რომ თითქოს პირველი—მთა-გორიანი და ქვებიანი ადგილებია, ხოლო მეორე კი ვაკე ადგილია. ეს არ არის სორი. პირველი—არც ისე მთაგორიანია, ორ-სამ ადგილზეა პატარა მაღლლები, რომელნიც თითქმის გაკრილია, ხოლო მისი გასწორება დიდ არაფერს მოითხოვს. დანარჩენზე კი ვაკე, ანუ სწორი ადგილებია. ქვები რაც მოტყდება, ისევ აქვე იქნება საპირო გზისთვის. მეორე კი, თუმცა ვაკეა, მაგრამ ტალახი იცის, ჭაობიანი ადგილებია და მოსაკენჭი, ქვაც ახლო არ არის.

